ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

გივი მაკალათია

საბიუჯეტო პოლიტიკის როლი ეკონომიკურ ზრდაში საქართველოს მაგალითზე

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2020

ნაშრომი შესრულებულია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული ეკონომიკის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ელგუჯა მექვაბიშვილი**
პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ოფიციალური შემფასებლები: **მიხეილ თოქმაზიშვილი**
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

თეა ლაზარაშვილი
ასოცირებული პროფესორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,

დისერტაციის დაცვა შედგება: 2020წლის 23 ოქტომბერს15:00 საათზე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომაზე

მისამართი: 0186, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2; თსუ X კორპუსი, აუდიტორია №206

სწავლული მდივანი
ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე

სარჩევი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება 3

საკვლევი თემის აქტუალურობა 3

კვლევის მიზანი 4

კვლევის ამოცანები 4

კვლევის ობიექტი 4

კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგიური საფუძვლები 4

კვლევის მეცნიერული სიახლე 6

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა 7

ნაშრომის აპრობაცია 7

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა 8

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი 9

ნაშრომის ძირითადი შედეგები 10

დასკვნები და რეკომენდაციები 18

გამოქვეყნებული ნაშრომები 20

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალურობა: თანამედროვე საერთაშორისო ბაზრებზე გამძაფრებული კონკურენციის პირობებში ქვეყნის განვითარებისათვის დიდ აქტუალურობას იძენს ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარება. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. თავისი არსით სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკა ძალზე კომპლექსური და ფართო თემაა. შესაბამისად, კვლევისას, ბუნებრივია, აღებულია კონკრეტული მიმართულება, რაც გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილისა და მისი მიზნობრიობის შეფასებას. კლასიკოსებთან (მაგ. ა.სმითი, დ. რიკარდო) კეინზიანელების (მაგ. ჯ. კეინსი, გ. მენქიუ, ჯ. ჰიქსი) დავის უპირველესი თემაა სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევა - არჩარევის განსაზღვრა, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ბიუჯეტის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტის როლი მნიშვნელოვანია. შესაბამისი მეცნიერული ნაშრომები საქართველოს მაგალითზე ნაკლებად მოიპოვება ამიტომ, მოითხოვს სათანადო მეცნიერულ შესწავლას, დასკვნების გაკეთებას და რეკომენდაციების შემუშავებას.

გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, რთული წარმოსადგენია, რომ ქვეყანამ ეკონომიკური ზრდის და, შესაბამისად, ეროვნული ბაზრის კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის მიღწევა შეძლოს ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის გარეშე.

დღესდღეობით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და სოციალურ გარანტიებზე ზრუნვა. რა თქმა უნდა, აუცილებელია ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფა, თუმცა აგრეთვე საჭიროა აქცენტი იქნეს გადატანილი სოციალურად დაუცველთა რაოდენობის კლებაზეც, რაც გულისხმობს სიღარიბის დონის შემცირებას. ეს კი ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ზრდის ტენდენციით გამოირჩევა, რაც უფრო მეტად გვაფიქრებინებს იმაზე, რომ ქვეყნის შინამეურნეობათა კეთილდღეობის დონე უნდა ამაღლდეს. აქვე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში ჯანმრთელობის და სოციალური გარანტიების პროგრამა მეტად საჭირო და დროული იყო.

კვლევის მიზანი. ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების გაწერა ბიუჯეტში, რომელიც საშუალებას მოგვცემს მივუახლოვდეთ ეფექტიან საბიუჯეტო პოლიტიკას. აგრეთვე ნაკლოვანებების გამოვლენა საქართველოს ბიუჯეტში, როგორც პროგრამირების მიმართულებით, ასევე საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების პროცესში. განვლილი წლების სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკული შეფასება და არსებული შეცდომების აღმოფხვრის ღონისძიებების დასახვა. უცხოური გამოცდილების გამოყენება, რომელიც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო სრულვყოთ საბიუჯეტო პოლიტიკა.

კვლევის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება, რაც მიზნად ისახავს შესაბამისი ჩარჩო-პირობების მიხედვით საქართველოს ეკონომიკის ზრდისათვის მაქსიმალურად ხელის შეწყობას.

კვლევის ამოცანები: კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საკითხის შესასწავლად შერჩეულ იქნა კვლევის შემდეგი ამოცანები: 1.საბიუჯეტო ფინანსების მართვის, მიზნობრივად დაგეგმვისა და თანაბარზომიერად გახარჯვის შეფასება; 2.ფისკალური მდგრადობის შეფასება, როგორც საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით, ასევე სახელმწიფო ვალის მიმართ გადახდისუნარიანობის თვალსაზრისით; 3.საჯარო ფინანსების ოპტიმალურად და გამჭვირვალედ გახარჯვაზე დაკვირვება; 4.ფაქტობრივი სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით რეგრესიული ანალიზის ჩატარება; 5.საბიუჯეტო სისტემის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ობიექტი: სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი; საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი; საქართველოს ეკონომიკური განვითარების გამოცდილება და მიმართულება; სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების საბიუჯეტო პოლიტიკის სპეციფიკა.

კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგიური საფუძვლები: კვლევის დროს გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები: ხარისხობრივი, თვისობრივი, რეგრესიული ანალიზის, დაჯგუფების, ინდუქციური, დედუქციური, სინთეზისა და შედარების.

ნაშრომი ეყრდნობა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევებს; საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების მონაცემებს; პერიოდულ გამოცემათა

მასალებს; საქართველოს და უცხოური ქვეყნების ბიუჯეტის მონაცემებს და მათ შედარებით ანალიზს; საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებს; გამოყენებულია სხვადასხვა ეკონომიკური თეორიები (ძირითადად ნეოკლასიკური და კეინზიანური).

სადოქტორო თემის პირველ ნაწილში პრობლემის მიმოხილვა თეორიული კუთხით განიხილება, ხოლო დასკვნით ნაწილში სტატისტიკური ანალიზის საშუალებით. მიღებული თეორიული მოსაზრებები ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ჩატარებული რეგრესიული ანალიზის შედეგებით არის გამყარებული. (აღნიშნული მიდგომა ინდუქციური და დედუქციური კვლევის მეთოდების კლასიკური მაგალითია). ხარისხობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები კი გამოყენებულია საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული საბიუჯეტო პოლიტიკის ამსახველი ფაქტობრივი მონაცემების ანალიზისათვის.

კვლევის ფარგლებში საბიუჯეტო პოლიტიკის შეფასებისათვის საჭიროა ბიუჯეტის გადასახდელების გაანალიზება. ამისათვის ჩვენ შევადგინეთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების შესაბამისი მონაცემების ცხრილი, საანალიზო პერიოდად კი ავიღეთ 2004-2019 წლები. საბიუჯეტო პოლიტიკის შეფასებისათვის, დაჯგუფების მეთოდის გამოყენებით, ეკონომიკური საქმიანობები გამოვყავით ფუნქციონალურ ჭრილში, რათა უფრო გასაგებად და მკაფიოდ ყოფილიყო წარმოჩენილი ბოლო 15 წლის მანძილზე წარმოებული საბიუჯეტო პოლიტიკის კომპლექსური სურათი. ევროპული ქვეყნების მსგავსი მონაცემების შესაბამისი ცხრილის მიხედვით შესწავლილია მათი საბიუჯეტო პოლიტიკის სპეციფიკები და გამოცდილება, რაც შეიძლება საქართველომაც გაიზიაროს.

რეგრესიული ანალიზისათვის ნაშრომს საფუძვლად დაედო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს მონაცემები. შევისწავლეთ მთლიან სამამულო პროდუქტის ზრდაზე მოქმედი შემდეგი ფაქტორები: სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები, სახელმწიფო ბიუჯეტი, სახელმწიფო ვალი, მთლიანი საგარეო ვალი, დამატებული ღირებულების გადასახადი, უცხოური გრანტები, დასაქმებულთა რაოდენობა, მოსახლეობის ზრდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, კომერციული ბანკების კრედიტები,

დეპოზიტები, შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილები, სასაქონლო ექსპორტი, მომსახურების ექსპორტი, ტურიზმი და ტრანსპორტი. შერჩეულ იქნა ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები. რეგრესიული ანალიზისას მთავარი ამოცანა იყო დაგვედგინა ჩამოთვლილ ფაქტორებს შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსები წარმოადგენს თუ არა მნიშვნელოვან პრედიქტორს საქართველოს ეკონომიკის ზრდისათვის. სტატისტიკური ანალიზი მოიცავს 2003-2018 წლების მონაცემებს. საანალიზო პერიოდის შერჩევა განაპირობა სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობამ. საქართველოს საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექტიანობის განსაზღვრისათვის ეკონომიკურ ზრდასთან ერთად შეფასდა სახელმწიფო ბიუჯეტს, სასაქონლო ექსპორტსა და მომსახურების ექსპორტს შორის დამოკიდებულება. ფაქტორებს შორის კორელაციები განისაზღვრა პირსონის კორელაციური ანალიზის საშუალებით, პროგნოზული ფაქტორები შეფასდა მრავალფაქტორიანი წრფივი რეგრესიული ანალიზის გამოყენებით. ფაქტორების ზეგავლენის ხარისხის დადგენისათვის რეგრესიული ანალიზი ჩატარდა სხვა თანაბარ პირობებში. კვლევისას გამოყენებულია კომპიუტერული პროგრამა SPSS 23.

კვლევის მეცნიერული სიახლე: ნაშრომში განვითარებულია მოსაზრება წარმოების ფაქტორთა წრის გაფართოების თაობაზე და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის, როგორც წარმოების ერთ-ერთი ფაქტორის სასარგებლოდ ჩამოყალიბებულია დამატებითი არგუმენტები. კერძოდ, აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ინტერვენციები ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას არა მხოლოდ იმ კუთხით, რომ ქმნის დამატებით წარმოებრივ მოთხოვნას, არამედ პირველ რიგში აყალიბებს ოპტიმისტურ მოლოდინს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აზღვევს რეცესიული პროცესების დაწყების რისკებს და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება საბიუჯეტო პოლიტიკით, რომელიც, თავის მხრივ, უნდა პასუხობდეს ეკონომიკაში არსებულ გამოწვევებს.

სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოდგენილია, მომავლის ოპტიმისტური მოლოდინის შექმნის სახით, რომელიც მიჩნეულია მთავარ საზოგადოებრივ საქონლად. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის როლი ეკონომიკურ ზრდაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებისთვის, განვითარებადი ქვეყნებისთვის კი - საკმარისი არ არის.

რეგრესიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მთლიანი სამამულო პროდუქტი განისაზღვრება პირველ რიგში სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლებით და ამის შემდეგ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. რაოდენობრივი ანალიზის შედეგად გამოვლენილი დამოკიდებულება მიგვანიშნებს, რომ ეკონომიკური ზრდისათვის სწორი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარება პრიორიტეტულია, სხვა ფაქტორებთან შედარებით.

კვლევის შედეგად გაკეთებულია დასკვნა, რომ განვითარებადი ქვეყნებისათვის საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდაა, არამედ სასაქონლო ექსპორტის ზრდის ტენდენციები იმპორტთან შედარებით.

რეგრესიული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი უფრო მეტად ხელს უწყობს მომსახურების ექსპორტის ზრდას. შესაბამისად, მკვეთრი უარყოფითი საგარეო ვაჭრობის პირობებში საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექტიანობა არ არის მაღალი.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში შემოთავაზებული რეკომენდაციებისა თუ ღონისძიებების ერთობლიობა მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს საქართველოს ხელისუფლებას უფრო ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრაში, რაც საბოლოოდ მიმართულია სახელმწიფოს როლის არსებულ ეკონომიკურ კონიუნქტურასთან უფრო შესაბამისობაში მოყვანისაკენ. მნიშვნელოვანია დაგროვილი ინფორმაციის საფუძველზე მომავალში სალექციო კურსის მომზადება და მისი უნივერსიტეტისათვის შეთავაზება.

ნაშრომის აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია შედგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თეორიული ეკონომიკის კათედრის 2019 წლის 5 ნოემბრის სხდომაზე. ნაშრომის ძირითადი დებულებები ასახულია დისერტანტის მიერ საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ადგილობრივ და უცხოურ საჟურნალო პუბლიკაციებში და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება კომპიუტერზე ნაბეჭდი 178 გვერდისგან. ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, 3 თავს, 8 ქვეთავს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, 20 ცხრილს, 12 დიაგრამას, 3 სქემას. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დისერტანტის პუბლიკაციების ჩამონათვალი.

სარჩევი

შესავალი …….. 1

თავი I. ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელობა, მიზნები და ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

1.1 სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის თეორიული მიმოხილვა ……. 6

1.2 დომინანტი ეკონომიკური პოლიტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები … 23

1.3 ფისკალური პოლიტიკის როლი მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში ……. 37

თავი II. ფისკალური პოლიტიკის ფორმირება საქართველოს პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის პერიოდში

2.1საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების გამოცდილება ……... 61

2.2ფისკალური დეცენტრალიზაციის წინააღმდეგობები და პერსპექტივა საქართველოში …… 81

თავი III. საქართველოს საბიუჯეტო პოლიტიკის სრულყოფის გზები და მიმართულებები

3.1სახელმწიფო ბიუჯეტის გახარჯვის ეფექტიანობის შეფასება …….. 113

3.2საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ძირითადი ამოცანები საქართველოში …. 139

3.3სახელმწიფო ბიუჯეტსა და მთლიან სამამულო პროდუქტს შორის დამოკიდებულების რეგრესიული ანალიზი ……... 151

დასკვნები და რეკომენდაციები ……. 163

გამოყენებული ლიტერატურა …..……...…….. 168

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის პირველ თავში განხილულია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების თეორიული საფუძვლები. კერძოდ, სახელმწიფო ინსტიტუცია განიხილება ანტიკრიზისული ღონისძიებების გამტარებელ მთავარ სუბიექტად, აგრეთვე თავისუფალი ბაზრის იმანენტურ ნაწილად, რომელიც ასრულებს ჩაშენებული სტაბილიზატორის როლს. ასევე აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ დროის დაკარგვასთან ერთად, შეიძლება ეკონომიკის დეგრადირებაც გამოიწვიოს. ნაშრომში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, ძირითადად წარმოდგენილია ნეოკლასიკური და კეინზიანური თეორიული პოსტულატების მიხედვით და მოცემულია მათი შედარებითი ანალიზი. პირველ თავში ასევე მოყვანილია წარმოების ფაქტორების გაფართოების ინიციატივის მხარდაჭერის დამატებითი არგუმენტები, რაც პრაქტიკულად ეკონომიკური ზრდის მთავარ საფუძველს წარმოადგენს. სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკა არის უმთავრესი ფაქტორი, რითაც განისაზღვრება სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა.

ნაშრომის მეორე თავი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პერიოდში საქართველოს ფისკალური პოლიტიკის ფორმირების პერიოდის შეფასებას ეხება. კერძოდ, განხილულია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები. მიმდინარე პერიოდში არსებული საბიუჯეტო სისტემის გაუმჯობესებისათვის შემუშავებულია გარკვეული რეკომენდაციები. მეორე თავში აგრეთვე განხილულია ფისკალური დეცენტრალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები და შეფასებულია აღნიშნული პოლიტიკის მიზანშეწონილობა განვითარების ეტაპების მიხედვით. კერძოდ, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ფისკალური დეცენტრალიზაციის სარგებლიანობა სხვადასხვაა და საეჭვოა განცალკევებულად აღნიშნული პოლიტიკის მხოლოდ პოზიტიური კუთხით განხილვა. აგრეთვე წარმოდგენილია საქართველოში ფისკალური დეცენტრალიზაციისათვის 2019 წელს განხორციელებული რეფორმა და შეფასებულია მომავალში მოსალოდნელი წინააღმდეგობები და პერსპექტივები.

ნაშრომის მესამე თავი სადისერტაციო თემის პირველ ორ ნაწილში განხილული თეორიული მიდგომებისა და ჩამოყალიბებული მოსაზრებების ფაქტობრივი

მონაცემებით განმტკიცებას მოიცავს. შეფასებულია საჯარო ფინანსების გახარჯვის მიზანმიმართულობა და ეფექტიანობა. კვლევის მიზნის მიღწევისათვის შერჩეულია საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ძირითადი ამოცანები. დასკვნით ნაწილში კი რეგრესიული ანალიზის საფუძველზე მიღებულია საინტერესო შედეგები, რომელიც ამყარებს დისერტანტის მიერ ჩამოყალიბებულ თეორიულ მოსაზრებებს. სახელმწიფო ბიუჯეტსა და მთლიან სამამულო პროდუქტს შორის, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტსა, სასაქონლო ექსპორტსა და მომსახურეობის ექსპორტს შორის დამოკიდებულების გამოვლენის შედეგად, შეფასებულია საქართველოს საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექტიანობა, რაც კვლევის მთავარი მიზანია.

ნაშრომის ძირითადი შედეგები

საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს მთავარი ეკონომიკური ფუნქციაა შექმნას კვლავწარმოების პროცესის ნორმალური განხორციელებისათვის გარკვეული ჩარჩო-პირობები. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თანამედროვე პირობებში განვითარებადი ქვეყნებისათვის, აღნიშნულ ფუნქციას ემატება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანი ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს, მაგალითად, უცხოური ბაზრების მოძიებაში და საქონლის ექსპორტირების წახალისებაში. სახელმწიფოს ეკონომიკაში ინტერვენციის წარმატებულ მცდელობებთან ერთად სავალალო შეცდომების მაგალითებიც მოიძებნება, როდესაც შეიძლებოდა თვით ბაზარს უკეთესად გადაეჭრა პრობლემა, თუმცა სახელმწიფოს ეკონომიკურ რეგულირებას ყოველთვის, როგორც სტრატეგიული, ასევე ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი პროგრამირება და რეგულირება უნდა განვიხილოთ, როგორც თავისუფალი ბაზრის შემავსებელი ეკონომიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რაც დაკავშირებულია ისეთ პრობლემებთან, რომელიც მიწოდება-მოთხოვნის მექანიზმით არ წყდება, ან დაკავშირებულია უარყოფით გვერდით ეფექტებთან. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მიზანია საბაზრო ეკონომიკის საუკეთესო თვისებების მაქსიმალურად რეალიზება.

კვლევამ აჩვენა, რომ წარმოების ფაქტორების თეორიის გადახედვა კვლავ აქტუალური და საყურადღებოა, რადგან თანამედროვე მსოფლიოში გამძაფრებული

კონკურენციის პირობებში მწვავე პრობლემებია ექსპორტის ზრდისა და შესაბამისად ეკონომიკური ზრდის კუთხით. საინტერესოა აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას მიერ განხილული სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი, როგორც წარმოების მეხუთე ფაქტორი, ხოლო ფაქტორულ შემოსავლად დასახელებულია ბიზნესზე ირიბი გადასახადები. არაპირდაპირი გადასახადი აღნიშნული ოთხი ფაქტორის შემოსავლებში არ აისახება, ხოლო პირდაპირი გადასახადი კი პირიქით, ფაქტორული შემოსავლიდან გადაიხდება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია საქონლის ღირებულება მოიცავს წარმოების მეხუთე ფაქტორზე გასაცემ შემოსავალსაც, რის გამოც შეიძლება სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი წარმოების ფაქტორად მივიჩნიოთ.[1]

დღესდღეობით რეალურ და ფინანსურ სექტორს შორის დისბალანსი გამოწვეულია ფინანსურ ბაზარზე ფიქტიური კაპიტალის ძლიერ „გაბერვით“. მიმდინარე პერიოდის ეკონომიკური პრობლემები მომავალში გადაიდება. საყურადღებოა ამერიკელი ეკონომისტის, კენეტ ეროუს სიტყვები „ფინანსურ სფეროში ადამიანთა მოტივაციები სულ უფრო მეტადაა ორიენტირებული მომავალზე, მაშინ როცა რეალური ბაზრები აწმყოში ცხოვრობს“,[2] აქედან გამომდინარე, დღევანდელი ეკონომიკური კვლავწარმოებითი პროცესი ძლიერ დამოკიდებულია მომავლის ოპტიმისტურ მოლოდინებზე.

ჯონ მეინარდ კეინზი კრიზისთან ბრძოლაში მთავარ როლს ანიჭებს უკეთესი მომავლის რწმენის აღდგენას, რომ კრიზისული პერიოდი მალე დასრულდება და დაიწყება ეკონომიკური „გამოცოცხლება“. საყურადღებოა, რომ რაციონალური მოლოდინების თეორიის ჩარჩოებში რობერტ ლუკასი თავისუფალი ბაზრის დამახასიათებლად ციკლურ მერყეობებს არ მიიჩნევდა. მიუხედავად თეორიული თვალსაზრისით საინტერესო პოსტულატისა, სამწუხაროდ, პრაქტიკაში კრიზისული პერიოდები მრავლად შეინიშნება. ასე იმიტომაა, რომ ეკონომიკა შედარებით არაზუსტი მეცნიერებაა და კვლავწარმოებითი პროცესი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პროდუქციის რეალიზაციის მოლოდინზე და არა ზუსტ

[1]Vladimer Papava, A New View of the Economic Ability of the Government, Egalitarian Goods and GNP, *International Journal of Social Economics* 20, no. 8 (1993): 56-62

[2]Руслан Гринберг, and Александр Рубинштейн. "Теория, инновации и контуры будущей экономики в диалоге с Кеннетом Эрроу." *Вопросыэкономики* 10 (2010): 5-16

პროგნოზზე ან ზუსტ ინფორმაციაზე. შესაბამისად, სახელმწიფო - მთავარი საზოგადოებრივი საქონლის ანუ მომავლის მიმართ ოპტიმისტური მოლოდინების შექმნის გზით ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, რის გამოც სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი შეიძლება მივიჩნიოთ წარმოების ფაქტორად.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა აჩვენა სახელმწიფოს კონსტრუქციული, ეფექტიანი მონაწილეობა კრიზისის დაძლევაში. ბოლო წლების მანძილზე განვითარებული ქვეყნების სახელმწიფოს წილი ეკონომიკაში ძირითადად კლების ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ 2008 წლის ფინანსური კრიზისის პერიოდში პირიქით, თითქმის ყველა მათგანმა გაზარდა იგი.

ცხრილი 1. განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვების წილი მთლიან სამამულო პროდუქტში, 2008-2009 (%-ებში).

სახ. შესყიდვების წილი მთლიან სამამულო პროდუქტში	2008 წელი	2009 წელი
ამერიკის შეერთებული შტატები	39,5%	43,0%
იაპონია	36,7%	40,7%
გერმანია	43,6%	47,6%
საფრანგეთი	53,3%	57,2%
ფინეთი	48,3%	54,8%
შვედეთი	50,1%	52,7%
ნორვეგია	40,2%	46,1%
შვეიცარია	30,4%	32,2%
ნიდერლანდები	43,6%	48,2%
სამხრეთ კორეა	32,0%	34,9%
ინგლისი	44,6%	47,5%
იტალია	47,8%	51,2%
ბელგია	50,3%	54,2%
ავსტრია	49,9%	54,1%
დანია	50,4%	56,5%

ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ www.tradingeconomics.com ინტერნეტ წყაროს ოფიციალური მონაცემების მიხედვით.

თანამედროვე ფინანსურმა კრიზისმა დაამტკიცა, რომ ანტიკრიზისული პროგრამა მთლიანად ეფუძნება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერებას, რამაც ფისკალურ პოლიტიკას დაუბრუნა სიტუაციიდან გამოსავლის გზის როლი.[3]

კვლევის ფარგლებში საბიუჯეტო პოლიტიკის შეფასებისათვის გაანალიზდა საბიუჯეტო გადასახდელები. ამისათვის შევადგინეთ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური თვალსაზრისით შესაბამისი მონაცემების ცხრილი. საანალიზო პერიოდია 2004-2019 წლები.

ცხრილი 2. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, 2004-2019(%-ებში) .

%	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა	24	23	20	21	21	26,4	26,2	26,3	27,2	31,4	34	34,6	36,5	35	33,2	35,5
თავდაცვა, წესრიგი, უსაფრთხოება	20	23	27,5	52,1	39,2	27,4	23	22,7	21,6	18,8	19	18,2	18	17	16,3	17,2
საერთო დანიშნ. სახ. მომსა-ხურება	10	12,6	11,3	12,3	21	23,7	26,7	26,4	25,3	25,8	21,3	22,7	18,6	18,1	18,6	12,8
განათლე-ბა	3,3	3,1	8,8	7,8	6,4	7,3	8,3	8,2	8,8	8,6	9,8	10	10,9	11,3	11	11,7
სათბობი დაენერგე-ტიკა	7	10,2	6,1	0,7	1,5	0,4	0,3	0,7	1,5	0,5	1%	0,3	0,2	0,12	0,15	0,7
სოფ.მეურნეობა	2,6	2	2	1,2	0,7	1	0,5	0,5	2,9	2,1	2,7	2,3	2,5	2	1,6	2,4
ტრანსპორტი	3,5	4,4	5,2	5,1	4,2	8	8,2	8,6	5,3	7	7,1	6,4	7	9,2	11,5	11,1

ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემების მიხედვით.[4]

[3]Alberto Alesina, "Fiscal policy after the great recession," *Atlantic Economic Journal* 40, no. 4 (2012): 429-435.

როგორც ვხედავთ, 2004 წელს სახელმწიფოს პრიორიტეტი იყო ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა, თავდაცვა, წესრიგი და უსაფრთხოება, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება და ენერგეტიკული პროექტები. შემდგომ წელს მცირედით კლებულობს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების და სოფლის მეურნეობის ხარჯები, იზრდება საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურეობის, თავდაცვის, წესრიგისა და უსაფრთხოების, ტრანსპორტის (საგზაო ინფრასტრუქტურის), სათბობ-ენერგეტიკული ხარჯები. ენერგეტიკული პროექტების მნიშვნელოვანი დაფინანსება გრძელდებოდა მხოლოდ სამი წელიწადი 2004, 2005, 2006 წლებში. 2004 წლიდან 2019 წლის ჩათვლით ფაქტიურად ყოველწლიურად, სტაბილურად მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა განათლებისა და სატრანსპორტო ინფასტრუქტურის ხარჯები, ორივე მიმართულება დაახლოებით 10%-ით არის გაზრდილი. მოცემული მონაცემების მიხედვით გატარებული საბიუჯეტო პოლიტიკა საინვესტიციო გარემოს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას ადეკვატურად პასუხობს და ნამდვილად შესაბამისია, რადგან 2004 წლიდან პირდაპირი უცხოური ინვსტიციების მზარდი ტენდენცია თვალსაჩინოა. თუმცა საგარეო ვაჭრობის დეფიციტის პრობლემა გადაუჭრელი დარჩა. რაც შეეხება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხარჯებს, 2004 წლიდან 2013 წლამდე საშუალოდ 20%-დან 27%-მდე მერყეობდა, ხოლო 2013 წლიდან კი 30%-ზე მეტია და დღესდღეობით 35,5% შეადგენს. ყოველივე ეს საქართველოს არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით არის გამოწვეული. საბიუჯეტო პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს აღნიშნული მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც საბოლოოდ გულისხმობს სოციალური დახმარებების მიმღებთა რაოდენობის შემცირებას და დარჩენილთა დახმარების ხარისხის გაუმჯობესებას. განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა სრულყოფილია, რაც წლების მანძილზე მაღალი სახელმწიფო დანახარჯების საშუალებით იქნა მიღწეული (საშუალოდ ბიუჯეტის 50%). შესაბამისად, რაოდენობრივი თვალსაზრისით საქართველოს ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის ხარჯების მზარდი

---

[4]შენიშვნა: მოცემულის გარდა სხვა მიმართულებებიც ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, თუმცა მათი მცირე წილისა და ეკონომიკური თვალსაზრისით ნაკლები ინტერესის გამო აღნიშნულ ცხრილში არ არის განხილული (მაგ. კულტურა, სპორტი და. ა.შ).

ტენდენცია სრულიად გასაგებია, ხოლო აღნიშნული მიმართულების ხარისხის დახვეწა და გაუმჯობესება მთავარი გამოწვევაა;

კვლევამ აჩვენა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ეფექტიანობა ძირითადად დამოკიდებულია საბიუჯეტო პოლიტიკაზე. სახელმწიფო ფინანსების პრიორიტეტული გახარჯვა პირდაპირ ზემოქმედებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე. ასე მაგალითად, თუ ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, არაკონკურენტული და არასამართლებრივი გარემო, კერძო საკუთრების დაუცველობა და ა.შ. სახელმწიფომ უნდა მიმართოს ამ მიმართულებით შესაბამისი ფინანსები. თუ მიმდინარე გამოწვევებს სახელმწიფო ადეკვატურად არ პასუხობს, მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსი, მაშინ საბიუჯეტო პოლიტიკა არასწორია.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში 2004 წლიდან ფიქსირდებოდა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის თანდათანობით დახვეწა, სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსულობების ზრდა, გადასახადების ადმინისტრირების გაუმჯობესება, მასობრივი კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება. მიუხედავად ამგვარი წინაპირობებისა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაღალი დონის მიღწევა დღემდე ვერ ხერხდება.

კვლევის დასკვნით ნაწილში ჩატარებულია რეგრესიული ანალიზი. მთლიან სამამულო პროდუქტზე მრავალი, როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ფაქტორი ზემოქმედებს. შესაბამისად, ბუნებრივია კვლევაში ვერ გავითვალისწინებდით ყველას და ამიტომაც ჩამოთვლილი ფაქტორების ზეგავლენის ხარისხის დადგენისათვის რეგრესიული ანალიზი ჩატარდა სხვა თანაბარ პირობებში. მთლიან სამამულო პროდუქტის ზრდაზე საანალიზო მოქმედი ფაქტორებია: სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები, სახელმწიფო ბიუჯეტი, სახელმწიფო ვალი, მთლიანი საგარეო ვალი, დამატებული ღირებულების გადასახადი, გრანტები, დასაქმებულთა რაოდენობა, მოსახლეობის ზრდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, კომერციული ბანკების კრედიტები, დეპოზიტები, შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილები, მომსახურების ექსპორტი, ტურიზმი და ტრანსპორტი.კვლევის მიზანია დადგინდეს ჩამოთვლილთა შორის

სახელმწიფო ბიუჯეტი არის თუ არა ძლიერ მოქმედი ფაქტორი მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდაზე. საკვლევი პერიოდია 2003-2018 წლები.

რეგრესიული ანალიზისათვის შერჩეული ყველა ფაქტორი კორელაციაშია ერთმანეთთან, გარდა მოსახლეობის ზრდისა და დასაქმებულთა რაოდენობისა, რომელიც არ კორელირებს არცერთ ფაქტორთან. ყველაზე ნაკლები კორელაციის მაჩვენებელი აქვს გრანტებს, ხოლო დანარჩენი ფაქტორების მაჩვენებლები კი დადებითია.

სტატისტიკური ანალიზის შედეგად მივიღეთ რეგრესიის შემდეგი განტოლება, სადაც უპირველესი ფაქტორი სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლებია. Y=13105,3+1.552*X1 (სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები)

რეგრესიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდა განისაზღვრება უმეტესწილად სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლებით და შემდგომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. შესაბამისად, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფა მთავარი ამოცანაა.

სადისერტაციო თემაში აღვნიშნეთ, რომ ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმია ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, სასაქონლო ექსპორტის ზრდის ტენდენციები იმპორტთან შედარებით. შესაბამისად კვლევაში შეფასებულია სახელმწიფო ბიუჯეტსა და სასაქონლო ექსპორტს შორის დამოკიდებულება.

დიაგრამა 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტსა და სასაქონლო ექსპორტს შორის დამოკიდებულება



ფიშერის ზუსტი ტესტი გვიჩვენებს, რომ შედეგები სარწმუნოა - p<0.05სასაქონლო ექსპორტი დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტზე, თუმცა დამოკიდებულება არ არის წრფივი.

საინტერესოა სახელმწიფო ბიუჯეტსა და მომსახურების ექსპორტს შორის დამოკიდებულების გამოვლენა.

დიაგრამა 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტსა და მომსახურების ექსპორტს შორისდამოკიდებულება



როგორც გრაფიკიდან ჩანს, დამოკიდებულება აქ მეტ-ნაკლებად წრფივია. სახელმწიფო ბიუჯეტი ხელს უწყობს უფრო მეტად მომსახურების ექსპორტის ზრდას, ვიდრე სასაქონლო ექსპორტს. ფაქტობრივი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით აგებულ მრუდებზე დაკვირვებითაც აღნიშნულ დამოკიდებულებას ნათლად დავინახავთ.

დიაგრამა 3. სახელმწიფო ბიუჯეტსა და ექსპორტს შორის დამოკიდებულება, 2003-2018 (მლნ. ლარი)



მრუდები აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემების მიხედვით

2011 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან მკვეთრად იზრდება ტურიზმის ხელშეწყობისათვის დანახარჯები (2 მლნ. ლარიდან 112 მლნ. ლარამდე), რამაც ზოგადად მომსახურების ექსპორტზე დადებითად იმოქმედა (ტურიზმის გარდა მეორე მსხვილი კომპონენტია ტრანსპორტით მომსახურეობა). მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი ყველწლიურად იზრდება,სასაქონლო ექსპორტი 2014-2015 წლებში არათუ იზრდება მნიშვნელოვნად, არამედ პირიქით იკლებს, ხოლო ამ პერიოდში მომსახურების ექსპორტიდან შემოსავლები მკვეთრად მატულობს.

დასკვნები და რეკომენდაციები

სახელმწიფოს მიერ შექმნილი მომავლის ოპტიმისტური მოლოდინი ეკონომიკის კვლავწარმოებითი პროცესისათვის მასტიმულირებლად შეიძლება მივიჩნიოთ. აღნიშნული მთავარი საზოგადოებრივი საქონელია, რომელიც ეკონომიკური ზრდისათვის გადამწყვეტ როლს ასრულებს განვითარებული ქვეყნებისათვის, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისათვის ეს საკმარისი არაა და საჭიროა სახელმწიფოს აქტიური საინვეტიციო პოლიტიკის გატარება (მაგ. ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, განათლებაში და ა.შ).

წარმოების მეხუთე ფაქტორის - სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის ეფექტიანობა განისაზღვრება საბიუჯეტო პოლიტიკით, რომელიც ზუსტად უნდა პასუხობდეს ბაზარზე არსებულ გამოწვევებს. ბიუჯეტის მიზნობრივად დაგეგმვა მთავარი ამოცანაა;

მიმდინარე პერიოდში საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება მომავალში იგივე ქმედებების განმეორებაზეა დამოკიდებული, რაც ხორციელდება ფინანსურ ბაზარზე. შესაბამისად, ეკონომიკის კვლავწარმოებითი პროცესი დამოკიდებულია მომავლის ოპტიმისტურ მოლოდინებზე;

კრიზისების პრევენცია ყოველთვის სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ეფექტიანობაზეა დამოკიდებული; ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება სახელმწიფოს ფუნქციაა.

მცოცავი, დაბალი ინფლაციის პერმანენტული არსებობაა, სწორედ დანაზოგების ინვესტიციებად გადაქცევის ერთ-ერთი მთავარი მასტიმულირებელი, რომლის ზომიერ არსებობასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს.

ფისკალური დეცენტრალიზაცია განვითარების ეტაპზეა დამოკიდებული. გარკვეულ პერიოდში ქვეყანას სჭირდება ფინანსური კონსოლიდაცია, რათა შეიქმნას განვითარების პერსპექტივა, გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები და ქვეყანა გახდეს ექსპორტიორი, რის შემდეგაც თანდათანობით ფისკალური დეცენტრალიზაცია უპრიანი იქნება.

საქართველოს მომხმარებლური ეკონომიკის გათვალისწინებით სახელმწიფო ვალის ზრდის ტემპი საყურადღებოა და საჭიროებს ეკონომიკური პოლიტიკის უკეთ გაანალიზებას. სახელმწიფო ვალის მიერ პოტენციურად შესაძლებელი ეკონომიკური სარგებელი მიმდინარე პერიოდში ძალზე დაბალია (მაგ. რეალური სექტორის განუვითარებლობა), ხოლო გრძელვადიან პერიოდში გარკვეულ პერსპექტივას ქმნის (მაგ. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა).

განვითარებად ქვეყანასთან შედარებით განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხარჯები გაცილებით მეტია და მიღებულია როგორც პრიორიტეტული მიმართულება. რაოდენობრივი თალსაზრისით საქართველოს ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის ხარჯების მზარდი ტენდენცია სრულიად გასაგებია, ხოლო აღნიშნული მიმართულების ხარისხის დახვეწა და გაუმჯობესება მთავარი გამოწვევაა;

რეგრესიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მთლიანი სამამულო პროდუქტი განისაზღვრება უმეტესწილად სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლებით და შემდეგ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. შესაბამისად, სწორი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარება უმთავრესია ეკონომიკური ზრდისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტი ხელს უწყობს საქონლის ექსპორტთან შედარებით მომსახურების ექსპორტის ზრდას. საქართველოს საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექიანობა ამ თვალსაზრისით არ არის მაღალი;

განვითარებადი ქვეყნის სახელმწიფო ფინანსებს უნდა ჰქონდეს პრიორიტეტული დარგის უფრო კონცენტრირებულად დაფინანსების სახე.

გამოქვეყნებული ნაშრომები

1.მაკალათია, გივი. „სახელმწიფოს საბიუჯეტო ფინანსების თანაბარზომიერი გახარჯვის ტენდენციები და ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობა საქართველოში“, *ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“* 17, №1 (2018): 56-59.

2.მაკალათია, გივი. „წარმოების მეხუთე ფაქტორი და საქართველოს საბიუჯეტო პოლიტიკა“, *ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”*11, №4 (2018):70-80.

3.მაკალათია, გივი. „საქართველოს დეფიციტური ბიუჯეტი და სახელმწიფო ვალი“, *ჟურნალი „ეკონომისტი“*15, №1 (2019):115-22.

4.Макалатиа,Гиви. (соавтор) "Электронное управление государственными финансами и бюджетная политика грузии", *Материалы III международной научно-практической конференции, социум и христианство (Минск),*(январь 2019): 33-35.

5.Makalatia,Givi. “Comparative analysis of the factors affecting the economic growth in Georgia and assessment of the efficiency of the budget policy”, *European Scientific Journal (ESJ)*16, №1 (January 2020)